№ 38 თებერვალი 17, კვირა 1891 თებერვალი 17, კვირა № 38


**გაზეთი ღირს**

| თვეები | მანეთი და კაპეიკი | თვეები | მანეთი და კაპეიკი |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუდიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრ. გ. სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი 1877—1891


ქვრივი ელისაბედ გიორგის ასული ნათაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ქაშუეთის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მისე ივანეს ძის ნათაძის სულის მოსახსენებლად.

(3—3)

ცეცხლისაგან დამზღვეველ საურთიერთო საზოგადოების გამგეობა ტფილისში ამით აცნობებს ამ საზოგადოების წევრთა, რომ კვირას, 24 თებერვალს, დილის 10 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

## საზოგადო კრება

რომელმაც უნდა განიხილოს და დაამტკიცოს:

1) გამგეობის ანგარიში 1890 წლისა.

2) რა ხარჯი დასჭირდება გამგეობას 1891 წელს.

3) წინადადება იმის შესახებ, რომ 5% დაეთმოს იმათ, რომელნიც სამის წლით დააზღვევს მამულს.

4) იმის პროექტს, თუ რა წესით უნდა მიეცესთ რწმუნების წერილი იმათ, რომელთაც მონაწილეობა ჰსურთ მიიღონ საზოგადო კრებებში.

5) ამორჩევა ზედამხედველ კომიტეტის ორის წევრისა, გამგეობის ერთის წევრისა, სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, რომელნიც რიგით გამოდიან და სამსახურის ვადაც შეუსრულებიათ, და თითო იმათი კანდიდატი.

საზოგადოების იმ წევრთ, რომელთაც არ შეუძლიანთ კრებას დაესწრონ, ნება აქვთ თავიანთი ხმა სხვას გადასცენ რწმუნების წერილით, რომელზედაც მოწერილი ხელი დამტკიცებული უნდა იყოს გამგეობის მიერ ან არა და საზოგადოდ მიღებულის წესით. საერთო მამულების პატრონებს და აგრეთვე სხვა და-სხვა დაწესებულებას ნება აქვთ კრებაში თავიანთი წარმომადგენელი გამოგზავნონ.

რწმუნების წერილი წარმოდგენილ უნდა იქმნას საზოგადო კრების წინა დღის 12 საათამდე.

კრების დარბაზში შესვლა შეიძლება ველიამინოვის ქუჩიდგან.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 19 თებერვალს,

ბენეფისი

ბ. გ. გედევანოვისა

ქართულ დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**ქვარცვარე თამაში**

დრამა 5 მოქმედებად გ. ერისთავისა.

II

**მიტო ანცაშვილი**

კომედია 1 მოქმ. ფრანგულიდგან

მოთამაშენი: ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა, ავალოვისა, ტატიშვილისა და სხვ. ბ-ნი გედევანოვი, გუნია, კანდელაკი, შათირიშვილი, თამაზიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

კვირას, 24 თებერვალს, „ტფილისის კლუბის“ დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

## ბალი

ბილეთის ფასი—2 მან.; დასაწყისი—საღამოს 9 საათზე.

ბილეთები ისყიდება კნ. ელენე მიხ. ანდრონიკაშვილისას და ტფილისის კლუბში.

(7—1)

ოზურგეთის მაზრის აზნაურობის წინამძღოლი თავადი გუგუნავა უმორჩილესად სთხოვს საწინამძღოლო მისდამი თავად-აზნაურობას, რათა მობრძანდნენ და თან იქონიონ საბუთები მამულების ქონებისა, რვას მარტს მდგომარის წლისა ქ. ოზურგეთს. თუმანოვის სახლებში, სადაც შესდგება სამაზრო კრება, როგორც განსახილველად წინა სიებისა, ეგრეთვე წარმოდგენილის მათ მიერ ახალის საბუთებისა, კრება დაადგენს თავის განაჩენს, თუ რომელს იქმნეს უფლება მონაწილეობის მიღებისა მომავალს საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრებაზე.

თავადი სვიმონ გუგუნავა

(1—1)

## ახალი ამბავი

*** როცა რუსეთის სასამართლოებში შემოიღეს ახალი წესდება იმპერატორის ალექსანდრე მე-II, მაშინვე დაწესდა საპატიო მომრიგებელ-მოსამართლეთა ინსტიტუტი მხოლოდ შიდა რუსეთში, ჩვენში-კი ეს დაწესებულება დღემდე არა ყოფილა შემოღებული. საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებს რუსეთში ირჩევს ერობა. ეხლა ჩვენშიაც განუზრახავთ ამ დაწესებულების შემოღება. ბ-ნმა განჩაროვმა, პირველმა თავმჯდომარემ ტფილისის სასამართლო პალატისამ, მისწერა ამ დღეებში ქალაქის თავს მატინოვს, რომ ამიერ კავკასიასაც ეზოძა ეგ დაწესებულება საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთისა, თუმცა დღემდე არ იყო შემოღებულიო. ამასთანავე ბ-ნი განჩაროვი იწერება, რომ ამ ჟამად მე შევუდექი იმათ სიების შედგენას, რომელნიც საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთ უნდა ირიცხებოდნენ ტფილისის გუბერნიაში სამის წლით 1894 წლის 1-ლ იანვრამდეო, და, თუ ისურვებთ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეს თანამდებობას, მაცნობეთო.

დღეს, 16 თებერვალს, ა. მატინოვმა აცნობა ბ-ნს განჩაროვს, რომ თანხმა ვარ ვიკისრო თანამდებობა საპატიო მომრიგებლის მოსამართლისაო.

*** ამას წინად ხმა გავრცელდა, ტფილისის ქალაქის თავმა ა. ს. მატინოვმა განიზრახა ქალაქის თავობას თავი უნდა დაანებოსო. დღეს ეს ხმა მართლდება. როგორც შევიტყეთ, ალექსანდრე სტეფანეს ძეს მატინოვს გუშინ, 15 თებერვალს, უკვე მიუცია დათხოვნის ქაღალდი ტფილისის გუბერნატორისათვის.

## ფელეტონი

### საქართველო და მისი ისტორიული წარსული

(შემდეგი. იხილე № 37).

ქრისტიანობა ერთბაშად არ დამკვიდრდა საქართველოში. ზოგი ერთი მეფე წინააღმდეგი იყო; სპარსელებიც არასა ჰზოგავდნენ ქრისტიანობის განდევნისათვის და მის ნაცვლად ცეცხლის თაყვანის მცემლობის დამყარებისათვის. მაგ., როდესაც მეფე მირდატ მე-IV[1]) დროს სპარსთა საქართველო დაიპყრეს, ქართველნი იძულებულნი იყვნენ ჯვარი და ხატი მიემალ-მოემალნათ და სპარსთაგან თაყვანებულმა ცეცხლმა იწყო ბრიალი ყველა საყდარში, რომელნიც დანგრევას გადურჩნენ. სპარსთა ხარჯი მძიმე ტვირთად დააწვა ქართველობას და, მირდატის შვილის შვილის არჩილ I-ის დროს, იგი აჯანყდა და საშინლად დაამარცხა სპარსნი ლიახვის პირზედ.

მაგრამ დრო საქართველოს ნამდვილის ძლიერებისა და დიდებისა დადგა მეფე ვახტანგ I-ის გამეფებისათანავე. ვახტანგმა იმეფა 53 წ. (446—499 წ.წ.)[2]). სპარსელებმა დაარქვეს ვახტანგს გურგ-ასლანი (მგელ-ლომი), რადგან იგი იყო საქებური მეომარი და ტყუილად არ ეხატა მისს ჩაფხუტზედ წინიდამ მგელი და უკანიდან ლომი. მუდამ წინა რაზმში ხმლის მქნეველი ვახტანგი ცნობილი იყო მტრისაგან და, როცა მისს ჩაფხუტს დაინახავდნენ, სპარსნი მოჰყვებოდნენ ძახილს: „არიქა თავს უშველეთ, მოვიდა გურგ-ასლანი“! ამ წოდებით იხ... [illegible] ტორიაში.

ვახტანგი იყო ბრძენი გამგებელი ქვეყნისა, უკეთესი სარდალი, ალხავსე გამჭრიახობითა და მამაცობითა. მან დაუტევა სამეფოს მრავალი ძეგლი თავის მოღვაწეობისა. ჰზრუნავდა ერის განათლებასა, აშენებდა სკოლებს; მისის ბრძანებით შესწორებულ იქმნა და ახლად ითარგმნა საეკკლესიო წიგნები; მანვე შეადგინა სამართლის წიგნი. სამეფოს თავისუფლების დამცველმა, ვახტანგმა სრულებით განდევნა სპარსთა ბრზონი, დაიმორჩილა სამეგრელო, აფხაზეთი, ჰსძლია პეჩენეგებს, აიღო კარნუ-ქალაქი (არზრუმი) და დიდება თავის სახელისა მოჰფინა ინდოეთამდე. ერთის ძველის ეკკლესიის კედლებზედ, რომლის ნანგრევნი დღესაც მოსჩანან ალაგირის ხეობაში, არის წარწერა, მომთხრობი ვახტანგის ბრძოლისა ოსებთან. ოსეთის მფლობელმა ოს-ბაყათარმა მოსტაცა ვახტანგს (ჯერედ მცირეწლოვანს) და[3]) და ამით გამოიწვია საზარელი ომი, რომელშიაც გამარჯვება დიდხანს არც ერთს მხარეს არ ახარებდა თუმცა, ოს-ბაყათარს თარხანიც მოეშველა პეჩენეგებით. ერთს ომში ვახტანგმა საკუთარის ხელით მოჰკლა თარხანი მაგრამ, ოს-ბაყათარი დაუზარებლივ განაგრძობდა ბრძოლას და გმირულად იგერებდა ქართველებს და თეით დაესხმოდა ხოლმე მათ თავს. გურგ-ასლანი დარწმუნდა, რომ შეუძლებელია ოსების დამორჩილება, ... [illegible] ... იქნება, და მცთაურებსო,—და მებიერობას მიჰმართა. ვახტანგმა შერიგება შეუთვალა პირობით, რომ ოს-ბაყათარს შეერთო ვახტანგის დია; მოსალაპარაკებლად მოიწვია თავის ბანაკში, რომელსაც ოსების ბანაკისაგან ჰყოფდა არაგვი. ბოროტების არ მომლოდნე ოს-ბაყათარი წამოვიდა, მაგრამ წყალში რომ შემოვიდა, დაუშინეს შველდ-ისარი. სასიკვდილოდ დაჭრილი ოს-ბაყათარი მიეცა წყალს და დაიღუპა. მაშინ გურგ-ასლანი დაესხა მტერს თავს და ოსნი დამორჩილებულ იქმნენ. წარწერა ოს-ბაყათარის და მის ცხრა ძმის ამ სიტყვებით თავდება: „ვინც რომ ეხე წაიკითხოს, ყველამ გვითხრას შენდობანი“.

მაგრამ მარტო უსიტყვო ნანგრევნი, ეგ სამწუხარო ნაშთნი წარსულის დიდებისა, კი არ ინახვენ საქართველოსათვის მისს გურგ-ასლანზედ ხსოვნას. დიდ მშვენიერი საკრებულო ტაძარნი — ათ-თორმეტთა მოციქულთა მცხეთაში, სიონისა და მეტეხისა ტფილისში—არიან სამახსოვრო ძეგლნი დიდებულის ვახტანგის მეფობისა. თვით ტფილისიც მან დაარსა, სადაც შემდეგში მისმა შვილმა გადიტანა ტახტი, დამჩრდილველი მცხეთის ძველის დიდებისა. ტფილისის მახლობლად ივერიის უძველესის მონასტრის, მარტყოფის, ნანგრევთა შორის დიდი ტაძრის ორ სვეტზედ, რომლებზედაც დამყარებული იყო მთელი შენობა და გუმბათი,—დახატულია მთელის ტანით ორი საქართველოს მეფე: ერთი მათგანია ვახტანგ გურგ-ასლანი, აღმშენებელი ამა ტაძრისა, და მეორე—დიდებული დავით აღმაშენებელი.

შემდეგ გურ-ასლანისა, ჰრილობათაგან გარდაცვლილისა მოხუცებაში, დიდება საქართველოსი ხელ-ახლად ჩაესვენა სიბნელეში და სპარსეთის ბატონობის ხმა კვლავ გაისმა. არ გავიდა დიდი ხანი, რომ მე-VI საუკუნეში სასანიანთა გვარმა თვისი ადგილი დაუთმო ბაგრატიონებისას, გუარამ I-ის წარმომადგენლობით.

ბაგრატიონთა დინასტია, რომელმაც იმეფა მთელი ათასი წელიწადი, თავის შთამომავლობას იწყებს ისრაილთა მეფე წინასწარმეტყველის დავითისაგან. ბაგრატიონთა საგვარეულო ბეჭედზედ, რომელიც დაცულია მათ შთამომავალთა თ. გრუზინსკების შორის, აქამომდე ცულზედ გამოხატულია შურდული, გოლიათის მკვლელი, დავითის ქნარი, სასწორი, ნიში სამეფო სიმართლისა და სიბრძნისა, და კვართი უფლისა; ბეჭდის ირგვლივ აწერია 131 ფსალმუნიდამ: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ-ჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“. (მუხ. II). ამა საგვარეულოს ჟამს ერთგვერობა ისტორიულის ბრძოლისა სპარსელებთან დარღვეულ იქმნა ახალ პყრობელთა—არაბების შემოსევით, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ჰქადაგებდნენ ყორანსა იქ, სადაც ჯერედ არ დაფერფლილიყვნენ სამწირველონი ცეცხლის თაყვანის მცემლობისანი. მე-VII საუკ. ნახევარში ომარის სარდალი ხალიდი, რომელსაც უწოდებენ „ღვთის რისხვას“, გამოგზავნილ იქმნა ჩრდილოეთის დასაპყრობად, დაიმორჩილა საქართველო და ტფილისი შეიქმნა 400 წლით არაბთა ამირების სამყოფნელად. არაბთა მფლობელობამ მაინც ვერ შეაყენა ქართველთა შორის საუბედურო სამოქალაქო და საგვარეულო ბრძოლანი, რომელთაც ხანდახან შესწყვეტდა ხოლმე თავდასხმა ველურ მეზობელთა,—ვიდრე თურქ-სელჯუკნი არ გამოჩნდნენ საისტორიო ასპარეზზედ. მე-XI საუკუნის ნახევარში იგინი შეიქნენ მთელის აზიის დასავლეთის მბრძანებლებად; ძლიერება ბაღდადის ხალიფებისა შეასუსტეს და სათათრეთში კვლავ შეიტანეს სურვილი უცხო ქვეყანათა დაპყრობისა. სელჯუკების სულთანი ალპ-არსლანი ასი ათასის მხედრობით დაიძრა სომხეთისაკენ, აქედან ყოველ მხარეს გაუსია მხედართა გუნდები და საქართველოსაც მიაყენა ყოველი უბედურება მტრის შემოსევისა. სამის წლის შემდეგ შემოსევა განმეორდა; არა მხედრობას არ შეეძლო წინ დასდგომოდა შემმუსრველს თავ-დასხმას თურქებისას. ამაოხრებელი მთის ნაკადულივით შეუყენებლივ ეფინებოდნენ იგინი შიშით ზარ დაცემულს ქვეყნებს; ცეცხლის ალით გარემოცული სოფელ-ქალაქნი აღნიშნავდნენ კვალსა მათის მსვლელობისას. კახეთი და ქართლი აოხრდა, ტფილისი აღებულ და დანგრეულ იქმნა. ესრეთი შემოსევა მტრისა მოხდებოდა ხოლმე შემდეგაც: ათი წელიწადი რო გავიდა, 1078 წ. ტფილისმა კვლავ გამოსცადა ყოველ გვარი მძვინვარება თურქთა ბარბაროსობისა. მტკვრისა და ალაზნის ნაპირებ-

[1]) 408 წ. ტყვედ წაყვანილი სპარსთაგან, აღსრულდა ბაღდადში. იხ. ქართ. ცხ. 107 გვ.

[2]) ვახტანგ გორგასლანი დაიბადა 438 წ.

[3]) იხ. ამისათვის დაწვრილებით მომთხრობი საინტერესო ისტორიული ლეგენდა „დროება“ 1875წ., №№ 38 და 39—წერილი „ბლდე-მაღალი“ ცინე.

ვ. ცხვედიშვილი

*** ტფილისის გუბერნატორს მოუთხოვია ქალაქის გამგეობისაგან ამა მდგომარე წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. რადგან ეს ანგარიში ჯერ კიდევ საბჭოს მიერ ამორჩეულ საფინანსო კომისიის ხელშია, გამგეობამ ამ თავით ვერ შეასრულა გუბერნატორის ბრძანება.

*** ქუთაისის გუბერნატორად დანიშნული განსვენებულ გროსმანის მაგიერ ერევნის გუბერნატორად ნამყოფი გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი, გუშინ, ამ თვის 16 ჩამოვიდა ტფილისს.

*** მეოთხე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში გარჩეულ იქნება საქმე ყასბების შესახებ: ორს ყასაბს ჰბრალდება, რომ დამალეს მაენებელი ღორის ხორცი იმ დროს, როცა ექიმი მივიდა საყასბოში საქონლის დასათვალიერებლად, და უნდოდათ ესეთი ხორცი ჩუმად გაეყიდნათ.

*** მეორე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე ტერ-ასტვაცატუროვი, რომელმაც ამას წინად დამბაჩა დაიცა და თავის მოკვლა განიზრახა და რომელიც ამ ჟამად საქალაქო საავადმყოფოში წევს, როგორც შევიტყეთ, ორივე თვალით დაბრმავებულა. ექიმები ამბობენ, რომ მისი დაბრმავებისაგან გადარჩენა ყოვლად შეუძლებელია, ხოლო სიკვდილს-კი იქნება გადარჩეს კიდევ როგორმეო.

*** სომეხთა სასულიერო სემინარიის მზრუნველთა საბჭოს გადაუდვია თორმეტი ათასი თუმანი ახალის შენობის ასაშენებლად ამ სემინარიისთვის. ახალი შენობა სომეხთა სემინარიისთვის იქნება დიდ ორბელიანის ქუჩაზე, სადაც საეკკლესიო დუქნებია აშენებული. პროექტი ახალის შენობისა მის ყოვლად უსამღვდელოესობას სომეხთა ეპარქიის უფროსს უკვე დაუმტკიცებია და ეხლა პროექტი დასამტკიცებლად გაეგზავნება მის უწმინდესობას სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსს.

*** მომავალ კვირას, 24 თებერვალს დანიშნულია კრება „ცეცხლისაგან დამზღვეველ საურთიერთო საზოგადოებისა“ ტფილისში. კრება გაიმართება ქალაქის საბჭოს დარბაზში, დილის ათს საათზე.

*** ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდამ იქ გამართულის წარმოდგენის შემოსავალი 73 მან. 10 კაპ., რომელიც დანიშნულია დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა იყო დღემდე 1436 მან. 92 კაპ. ამიანად შესდგა სულ 1510 მან. 2 კაპ.

*** იქიდამვე მოგვივიდა 30 მან. რომლიდამაც 20 მანათი დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდვეა დანიშნული, ხოლო 10 მანეთი ი. დავითაშვილის ფონდისათვის. ამ შემოწირულებიანათ შესდგა ბაქრაძის ფონდი 1530 მან. 2 კაპ. ხოლო დავითაშვილისა 156 მან. 10 კაპ.

*** უჯარმა (ტფილისის მაზრა) აქაურმა მღვდელმა მამა რ. ი. ფერაძემ განიძრახა ფრიად კეთილი საქმე. უნდა ამ ცოტა ხნის განმავლობაში გაჰმართოს აქ ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა. მაგრამ, რადგანაც აქაური მცხოვრებლები შეუძლებელი ხალხია და ღონე არ შესწევთ, რომ სახლი იყიდონ სასწავლებლისთვის, ამისათვის ხსენებულმა მოძღვარმა მიჰმართა სასულიერო მთავრობას და სთხოვა, რათა მისცეს მოძღვარს დაბეჭდილ დამოწმებული წიგნი და ამ ნაირის საშუალებით შეჰკრიბოს სკოლისთვის საჭირო ფულები ტფილისსა და მის ახლო-მახლო სოფლებში. ხსენებული წიგნი, როგორც ნამდვილად გავიგეთ, მოძღვარმა უკვე მიიღო და ამ დღეებში დაივლის წინაპირველად ტფილისსა და შემდეგ სოფლებსაც.

*** ამ თვის 14 ღამით პოლიციის პირველს ნაწილში სოფ. წურულეთის მცხოვრებელს იაკობ ძელურს ძილის დროს 11 მანეთი მოჰპარა ტფილისის მცხოვრებელმა თედო მაისურაძემ. ქურდი შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

*** 15 თებერვალს სოფ. ბელგანის მცხოვრებელმა ჰუსეინ ალი ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ შერჩეულის გასაღებით 25 მანეთის ქაღ-სავები მოიპარა სპარსელმა ალი ოღლიმაო. ქურდი შეიპყრეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სომხეთისა და სომეხთა ამბებისათვის სპარსეთშიაც მიუქცევიათ ყურადღება. თეირანელი კორესპონდენტი „Моск. Вѣд.“-ის აუწყებს ამ გაზეთს, რომ რაკი ოსმალეთსა და რუსეთში არავითრის მოხერხების იმედი არა აქვთ სომხებს, ყურადღება მიაქციეს სპარსეთს, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანაში მთავრობას ყურისგდებისა და ზედამხედველობის შიში არა აქვთო.

სომხეთში იმედი აქვთ, რომ სპარსეთში ჩვენი საქმე კარგად წავაო. ...რადგან სომეხთა მეთაურებს პოლიტიკური ერთობა უნდათ და კათოლიკეთა სამღვდელოებაც, ქადაგებელთა და სომეხთა შორის მქადაგებელი, ყოველთვის წესიერებისა და აწინდელ მთავრობის მომხრე იყო, გადასწყვიტეს, რომ მოვიშოროთ ყველა ის არა-სომეხი, რომელნიც ხელს გვიშლიან და წინ გვედობებიანო. ნურც პაპი გვინდა, ნურც შაჰი, ნურც სულთანი! აი იმათის დროშის ზედწარწერა. ვანისა და არზრუმის ვილაიეტებიდგან მიდიან სომეხთა კომიტეტების რწმუნებულნი და სომეხ სოფლებში ჰქადაგებენ სარწმუნოებრივს ომსა და ბრძოლას ყველა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ნამდვილის სომხის შთამომავლობისანი არ არიან. ისინი სრულიად მოურიდებლად იქცევიან, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ თავრიზელი სომეხთა ეპისკოპოსი ჩვენი მომხრე და მოსარჩლეა და აგრეთვე იმ ოლქის გუბერნატორი, სადაც ჩვენა ვართ, ადვილად მოსასყიდველი და სუსტი კაციაო.

ეს გარემოება დიდად საშიში და სათრთხილოა სპარსეთისათვის. თუ თეირანის მთავრობა ჯეროვანს საშუალებას არ იხმარებს საზოგადოდ ამ საქმეს ხალისიანად, გამრჯედ არ მოეკიდება, თუ დაუღალავად არ დაუწყებს დევნას ბრალეულთა და დამნაშავეთ და თავიდგან არ მოიშორებს ამ ქადაგ სომხებს, იგივე საქმე დაემართება, რაც დაემართა ოსმალეთის მთავრობას; ისიც იძულებული იქნება გაემკლავოს აშლილობას სომხებისას. მეტადრე არ უნდა დაივიწყოს, რომ შესაძლებელია ასეთი აშლილობა მოხდეს ისეთს ქვეყნებში, როგორიც არის ადერბეიჯანი და ქურთისტანი, სადაც თოფები თავისთავად ისვრის და სადაც სულ მცირე არეულობა დიდს ალიაქოთს ასტეხსო.

**

დღეს გაზ. „Новое Время“-მ გაზ. „Каспій“-ს კუდში ხელი წაავლო და დიდს შავ ქვას აყრის, რომ როჩილდის ყურ-მოჭრილი მონა და მოსამსახურე ხარო. გაზ. «Нов. Вр.»-ის ბაქოელი კორესპონდენტი ამას წინად სწერდა ამ გაზეთს:

ბაქოს ქალაქის თავი ამორჩეულ იქმნა როჩილდის ნავთის საზოგადოების დირექტორად და დიდი ჯამაგირიც დაენიშნა, თუმცა იმისი მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ დაუყოვნებლივ ხელი მოაწეროს ანგარიშებს და ამ ფირმის წარმომადგენელთა დავალებანი შეასრულოს. განა შესაძლებელია, რომ ქალაქის თავი იყოს იმ საზოგადოების წარმომადგენელიც, რომელიც ქალაქის ინტერესებს არაფერს დაგიდევს და ზვერჯელ იმის წინააღმდეგ თუ არა, მომხრე არ არის.

---

ზედ მაშინვე დასახლდნენ თათართა ავაზაკებრივი ურდოები, რომელნიც შეუსვენებლივ იკლებდნენ სოფლებსა და ქალაქებსა.—თურქთაგან მოყენებულ უბედურებათა, ზედ მოჰყვა საშინელი ბუნების მოვლენანი, რომელთაც ერი სთვლიდა ღვთის წყრომის პირდაპირ ნიშნად, რადგან ამ დროს ხალხი უტევებდა ჭეშმარიტს სჯულსა, თათრდებოდა და მისდევდა ცოდვით სავსე ცხოვრებასა. ერთხელ თვით ბრწყინვალე აღდგომა დღეს, მემატიანის თქმისამებრ, ისეთი მიწის ძრვა იყო, რომ მთანი მაღალნი და მყარი კლდენი ძირს ეცემოდნენ, ქალაქნი და სოფელნი ინგრეოდნენ, სახლნი ექმნებოდნენ საფლავად თვისთა მკვიდრთა და მრავალი ხალხი დაიღუპა. სიტყვით გამოუთქმელნი უბედურებანი ქვეყნისა მოსპო დიდმა დავით მე-III აღმაშენებელმა, რომელმაც შეიძლო საქართველოს გაძლიერება და აყვავება უმაღლეს ხარისხამდე.

როდესაც 16 წლის დავით აღმაშენებელი (1089—1125) ავიდა ტახტზედ, მთელი ქართლი ნანგრევებით იყო მოცული, ტფილისი და ბევრი სხვა სამფლობელონი ეპყრათ თურქებს; იმერეთში თავის ნებაზე ბატონობდნენ ბიზანტიის იმპერატორნი იმ საბუთით, რომ იგინი მითომ ერთად-ერთი მფარველნი იყვნენ ერთ-მორწმუნე სამეფოსი,—და მხოლოდ მთანი და ხეობანი აფხაზეთისა წარმოადგენდნენ საიმედო თავსაფარს მეფისა და ერისათვის, მეფეთა ტახტი კი იმყოფებოდა ლიხის მთის მახლობლად თეაგულისთავში (Теагулиставъ). ამავე დროს თავ-გასულ თათრის ურდოებმა ხელთ იგდეს ტფილისის გარემო ნაყოფიერნი დაბა-სოფელნი და ამტუტებდნენ ქართლ-კახეთს. სპარსნი ჰგლეჯდნენ სამეფოს საზღვრებს და სომეხნიც-კი გამუდმებით შემოესეოდნენ და აოხრებდნენ ერთ მორწმუნე ქვეყანას. აყვავებული ადგილები გადაიქცნენ დანაცრებულად, ნაყოფიერი მინდვრები უდაბნოებად. და აი სწორედ ამ დროს მეფეს წინ ედვა დიდი მოვალეობა სამეფოს მძიმე წყლულთა განკურნებისა. ამ დროს დაწყებულმა ჯვაროსანთა ომიანობამ ხელი აღუპყრო დავითსა, რადგან თურქთა მხედრობანი პალესტინისაკენ გაიწვია და შეძლება მისცა დახვეწებულის ივერიის საკუთარ ძალათა აღორძინებასა.

მტერთაგან აოხრებულს მინდვრებზედ დავითმა მოიწვია მთის ოსნი. იგინი სიხარულით დასთანხმდნენ გაეცვალათ თავის უნაყოფო კლდე-ღრენი საქართველოს ნაყოფიერ მიწა-წყალზედ. მათი შემწეობით მან შეასრულა კიდეც დიდი საქმე სამშობლოს განთავისუფლებისა. გაიგო თუ არა ფრანგთაგან იერუსალიმის დაპყრობა, დავითმა მაშინვე უარ-ჰყო თურქთა სამარცხვინო ბატონობა და ხარჯის ძლევა მოსპო. ეს იყო ჭეშმარიტი ღვაწლი, შესრულებული დავითისაგან გამეფების უმალვე. მაგრამ ერთბაშად და ადვილად არ დასთმეს თურქთა თავისი ბატონობა საქართველოში, მისი განთავისუფლება ძვირად დაუჯდა თურქთაცა და დავითსაცა. ერთი მუჭა მხედრობით იგი ამარცხებდა ძლიერს მტრებს და აფხაზეთიდამ დაწყებული მიიტანა თავისი ძლევა-მოსილება დარუბანდამდე, სადაც დალეწა რკინის-კარნი, ამართულნი იქ ხალიფობის დროიდამ. მის მეფობის განმავლობაში მტერნი ზედი-ზედ ესეოდნენ, მაგრამ ზარ-დაცემულნი დავითის დანახვით სელჯუკთა და სპარსთა მხედრობათა წინამძღოლნი ივლტოდნენ და უტევებდნენ გამარჯვებულებს ტყვეებსა და საუნჯეთა, რომლითაც დავითმა აავსო და გაამდიდრა თავისი სამეფო. მაგ. როდესაც შემოდგომით 1121 წ. ურიცხვი არაბთა ჯარი შემოესია თრიალეთის მხარეს, ერთი ბრძოლა საკმაო იყო მათის გაფანტვისათვის, და დავითის ბანაკი აივსო ოქროთი, ვერცხლით, ძვირფასის სუფრის თასებით, მშვენიერის ხალებით და იარაღით. არაბული ცხენი იმდენი შეიძინა ქართველთა [illegible] სად იყიდებოდა. უბრალო სოფლის კაცნი ატყვევებდნენ ასურელ სარდალ-სპასპეტებს. — საქართველოს დედაქალაქი ტფილისი დიდხანს დარჩა სარკინოსთა ხელში, იგინი გამაგრებულნი იყვნენ კალას ციხეში. დავითი არცა დარდობდა ამასა, კარგად იცოდა რომ საქართველოში მტკიცედ დამკვიდრების შემდეგ ძნელი არ იყო ტფილისის აღება, და მართლაც თავის მეფობის უკანასკნელს 1122 წ. უეცარის თავ დასხმით დაიპყრო ტფილისი. მაშინ შავი ზღვიდგან კასპიის ზღვამდე ყველა დაემორჩილა მისს მბრძანებლობასა. სამეფოს ღონეც იმოდენად მოემატა, რომ თავისი ძენი გაემხედრებინა შორეულ პალესტინაში ჯვარის მტრებთან საბრძოლველად. მღვდელმთავრე ზღვამ შთანთქა პირველი სახიძეული საქართველოს მეომარნი; მაგრამ უბედურებამ ვერ შეარყია სატრფიალო ახალ მხედართა, რომელნიც მიიწევნენ წმ. ქვეყანაში და ჯვაროსნებთან ერთად იღვწევ განთავისუფლება ქრისტეს საფლავისა ურწმუნოთაგან. თვით დავითი განსხვავდებოდა ხამაგალითო ვაჟკაცობით. არასოდეს მხედრობას ზურგით არ მოექცეოდა და პირველი აოტებდა მტერსა. იგი იყო დევ-გმირი და გოლიათი. გელათის ტაძარში (ქუთაისის მახლობლად) დღემდე დაცულია ბეჭედი მეფისა, რომელშიაც თავისუფლად ეტევა ორი თითი ჩვეულებრივის კაცისა. ამავე ტაძრის კედელზედ, როგორც მარტყოფისაზედ, დაცულია მხატერობა დავითისა: შემდეგ მეფეთაგან იგი განირჩევა გრძელის წვერით და ტანის ახოვანებით.

გელათის ტაძარი და მონასტერი ღვთის დედის სახელზედ დავითმა აღაშენა სამადლობელად ღვთისა, რომელმაც ხელი მოუმართა შეერთებ[illegible] ძველის ბაგრატიონთა სამეფოისა. სივრცით, მშვენიერებით, მარმარილოს სიმრავლით ეს შენობა აღემატებოდა ყველას, რაც-კი წინად იყო აშენებული ივერიაში. დავითმა გელათში დააწყო დამარცხებულ სპარსთა მეფეთა ხოსროიანთა ძველი ტახტები, მათი ოქროს სასანთლეები, გვირგვინები, ყელს საკიდნი, აგრეთვე თასები არაბთა მეფეთა, მის მიერ დატყვევებულთა.

დარიალის ხევში, მაღალ კლდეზედ, რომელიც დაფიქრებული გადმოკიდებულა ზედ საქართველოს სამხედრო გზაზედ, მოსჩანან ძველი ალაყაფის კარების ნანგრევნი, რომლიდგანაც დახშული იყო საქართველოში შემოსავალი გზა. ეს კარები, ქრისტეს წინად აშენებული მეფე მეფეანისაგან და მერე შემუსრვილი, დავითმა განაახლა და ირიცხება იმ სახსოვარ ძეგლთა შორის, რომელნიც მან დაუტევა საქართველოს.

მთელი სიცოცხლე დავითმა გაატარა გამუდმებულს მოღვაწეობაში: ერთის ხელით ჰსთრგუნავდა მტერსა და მეორეთი ფეხზე აყენებდა მტრის მიერ ძირს დაცემულს. მან მარტო ხმლის ხმარება არ იცოდა: იგი იყო უდიდესი ღვთის მეტყველი თავის დროისა. ძლევა მოსილ მეფეს ისე არა უყვარდა-რა, როგორც საღმრთო წერილის კითხვა. მის დროს მოხდა ორი კრება განმარტებისათვის საეკკლესიო წიგნთა და წეს-წყობათა. მტერთაგან შემუსვრილ საუნჯეთი აღშენდებოდა ეკკლესიანი, ფუძნდებოდა ყრმათა სასწავლო სკოლები.

დავითი გარდაიცვალა ჟანითა და ღონით სავსე, 53 წლისა და სამეფოთვისი დაუტევა გაძლიერებული და დამშვიდებული. საქართველო [illegible] უწოდა „აღმაშენებელი“, ხოლო ეკკლესია [illegible] შერიცხა იგი წმიდათა თანა. სიკვდილის ჟამს დავითმა აღირჩია თავის განსასვენ ადგილად შესავალი მის მიერ აღშენებულის გელათის ეკკლესიისა, რათა ყველა ეკკლესიაში შემსვლელს და მის საფლავის გადამლახავს ელოცნა იმის სულისათვის. თავის საფლავზედ ბრძანა დაეკიდება დარუბანდიდამ მოტანილის რკინის კარებისა, რომელიც თან ტაძარს ჰფარავდა და თან მის საფლავს ძეგლის მაგიერობას უწევდა. ეკკლესიის შესავალში დღესაც ძევს დიდი ქვის ფიქალი და ზედ ქართულის დიდის ასოებით აწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, აქა ვიხარებდე, რამეთუ ვინებე“... ერთი ნახევარი რკინის კარებისა აღარ არის; როგორც ამბობენ, იგი მოუხმარებიათ ეკკლესიის სართულისათვის ლურსმებად, მეორე ნახევარი-კი დღესაც არის. არაბული კუფიური წარწერა გვამცნებს, რომ კარები შეჭედილია სახიერისა და ყოვლად მოწყალე ღვთისა სახელისათვის დიდებულის ემირის შავირისაგან, ალ-ფაზლის ძისა გიჯრის 455 წ. ხოლო ქრისტეს აქეთ 1077 წ.

მაგრამ ძვლებმა წმ. მეფისა დიდხანს არ დაშთნენ მისგან დანიშნულ საფლავში: შემდეგში სოლომონ დიდმან გადაასვენა იგინი საკურთხეველს ტაძრის თაღიან სამკვეთლოს, საიდუმლო ადგილს, რათა დაეხსნა ურწმუნოთა შეურაცხებისაგან.

დრომ საქართველოს შეძლებულობისა და ძლიერებისამ გასტანა 120 წელიწადს დავითის მიცვალებიდგან,

ეს კორესპონდენცია უყურადღებოდ არ დასტოვა გაზ. «Каспій»-მ, რომელიც „Новое Время"-ს აზრით „თავით-ბოლომდე როჩილდის ხელშია და ყოველთვის ემხრობა როჩილდსა და ებრაელებს", და პასუხიც ჩქარა აგო, პასუხი, რომელიც ძალიან და ძალიან მოიახირებულებს. აი ეს პასუხი, აბა მოისმინეთ:

ჩვენ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, მოეწონსთ, თუ არ მოეწონსთ ქალაქელებს ის ამბავი, რომ იმათი წარმომადგენელი როჩილდის მმართველობის დირექტორად იქმნა ამორჩეული. პირადად ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ეს თანამდებობა მხოლოდ სახელისათვის აქვს მიჩემებული ქალაქის თავს. ჯერ ერთი ამ თანამდებობის შესრულებისათვის დრო არ დაეხარჯება და, მეორეც, დარწმუნებული ვართ, რომ ქალაქის ინტერესებს გვერდი არ ჩამოეცლება იმ გარემოების წყალობით, აქაო-და ქალაქის თავი როჩილდის საზოგადოების წარმომადგენელიც არის.

ხომ მოისმინეთ, გაზ. „Каспій" დარწმუნებულია და ამიტომ ნეტარიც არის, რასაკვირველია, რადგან, ნათქვამია, ნეტარ იყვნენ მორწმუნენიო. „Каспій"-ი ნეტარია და მორწმუნეც, მაგრამ იმისი მორწმუნეობა არაფრად დასწამს გაზ. „Новое Время"-ს და აი სამართლიანად რას უკიჟინებს.

მაშ ასე, „Каспій"-ს ჰგონია, რომ ქალაქის თავს ბაქოსას მხოლოდ სახელისათვის აძლევენ უშველებელს ჯამაგირს (ექვსი ათასს მანეთს წლიურად, ჯილდოებს და რამდენსამე აქციას როჩილდის საზოგადოებისას) ნუ თუ ამდენი სიკეთე მხოლოდ უბრალოდ უსაქმურობისათვის ენიჭება ადამიანს. მარტო ქაღალდებზედ ხელის მომწერი ადამიანი ბევრი იპოვება, ბაქოს ქალაქის თავს გარდა. ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ურცხვს გადაფაფრებას გაზეთისას ნამდვილის ქრთამის გასამართლებლად. ორში ერთი უნდა იყოს—ან ბაქოს ქალაქის თავი როჩილდს უნდა ეკუთვნოდეს, ან ქალაქს. ამ ორის ხელობის ერთად მოთავსება ყოვლად მოუხერხებელი და უმართებულოა.

„Новое Время" ისეთს მურს უსვამს სახეზედ გაზ. „Каспій"-ს, რომ ვგონებთ კასპიის ზღვამაც ვერ გარეცხოს. ვნახოთ უმარულად რას იხმარებს ეს ბაქოს დევ-გმირი.

**

დიდიდი ნახტომი არ მოგვივა, რომ რუსეთისა და ბაქოს გაზეთებიდგან ამერიკის გაზეთებზედ გადავიდეთ. ეს ამერიკის გაზეთები ძალიან უბოდიშოდ ეკიდებიან თავისს ხელის-მომწერლებს. აი ერთი მაგალითი ასეთის უბოდიშობისა. ერთმა გაზეთმა ამ წლის დასაწყისს დაჰბეჭდა თურმე ნუსხა იმ შარშანდელი ხელის-მომწერლებისა, რომელთაც ხელის-მოწერა არ განაცხადეს და საწრეულოდაც არ გამოიწერეს გაზეთი, და ქვეშ, იმავ გაზ. „Нов. Вр." სიტყვით, შემდეგი ლოცვა-კურთხევა დასძინა თურმე ამ სიას:

ნურასოდეს ნუ ეღირსებით ლამაზის ქალის კოცნას, ნურც ერთი მშვენიერი ქალი ნუ მოგაკარებთ თავისს ტუჩებს; ვისურვებ თქვენთვის, რომ საღამოობით მთელი ხროვა კატებისა გიმღერდესთ სერენადებს, ნუმც გალდია გამარჯვებით ნურსად და, დასასრულ, ეშმაკებმა გათრიონ საკუდიანეთში.

გაზეთს ის-ღა აკლდა, რომ შეეთვალა თავის შემომწყრალ მკითხველებისათვის: თქვენი თავი მთხოვოს ღმერთმა და თუ არ მივცე, ძალით წამართვასო! ეტყობა, რაკი ეს არ უთქვამს, არ უთქვამს იმიტომ, რომ თავისთვის შეუნახავს...

## გასართობი

გერმანიის ქვეშევრდომი ტეიკი ამ ხანად პეტერბურგში ნევის პროსპექტზე სეირნობდა. ტეიკს უეცრად მივარდა ვიღაც ახალგაზდა კაცი, წააქცია და დაუწყო ცემა. ტეიკი პირველად თუმცა შეებრძოლა მოწინააღმდეგეს, მაგრამ როცა შენიშნა, რომ ვერ გაუსწორდებოდა ძალ-ღონით, დაიყვირა „ყარაული!" ეს ამბავი ღამით მოხდა და ქუჩაში მოსეირნე ხალხი ცოტა იყო. ტეიკის ყვირილზე მოირბინეს პოლიციელებმა, მაგრამ დამნაშავემ მოჰკურცხლა. გამოუდგნენ, დაიჭირეს და წაიყვანეს პოლიციაში. ეკითხებოდნენ, რად გალახე ეს კაცი, რას ემართლებოდიო. ხოლო დამნაშავე თითქო გაქვავდაო ხმას არ იღებდა. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი მუნჯი იყო, გვარად ლეგოვიჩი. შეადგინეს განაჩენი და გაგზავნეს სასამართლოში, წესიერება დაარღვიაო. მოსასამართლესა და ლეგოვიჩის შორის ლაპარაკი თარჯიმნის საშუალებით სწარმოებდა.

მოსამართლე. (თარჯიმანს) რას ამბობს დამნაშავე?

თარჯიმანი. ის ძალიან მოფიქრებულსა და მოსაზრებულს განმარტებას იძლევა: ამბობს, რომ მე წესიერების დარღვევისათვის არ უნდა ვიქმნე გასამართლებული, რადგანაც ლაპარაკის ნიჭს მოკლებული ვარ და მაშასადამე წესიერების დარღვევაც არ შემიძლიაო. ეს ერთი. მეორეც ისა, რომ არა მაქვს სმენა, არ შემიძლია ლაპარაკი და ამიტომ არ შემიძლია ვიცოდე კანონი, რომლის ძალითაც წესიერების დარღვევა არის აღკრძალულიო.

მსაჯული შეეკითხა დამნაშავეს, რას ემართლებოდი ამ კაცს, რად სცემეო. დამნაშავემ თარჯიმნის პირით განუცხადა: მე მაგ კაცს (ტეიკს) პირველად ვხედავ, მაგრამ საქმე ის არის, რომ, როცა ეს კაცი შემხვდა, თითები ისეთ ნაირად შეათამაშა, რაიცა ჩვენებურად, მუნჯურად, „ბრიყვს" ნიშნავს. მეგონა, რომ ეს კაციც ჩემსავით მუნჯია და თითების მოძრაობაც ჩემკენ არის მომართული-მეთქი. ამის გამო გავბრაზდი და ვსცემე კიდეც.

მომჩივანი ტეიკი ამტკიცებდა, რომ „მუნჯური" არ ვიცი და ამ კაცის შეხვედრის დროს, როგორც მახსოვს, ხელი არც-კი გამინძრევიაო. როცა ეს დამნაშავეს გადასცეს, მსაჯულს სთხოვა, გამოველაპარაკები მუნჯურად და მე თითონ გავიგებ, იცის თუ არა მომჩივანმა მუნჯურიო. მუნჯმა რაღაცაები ანიშნა ტეიკს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფერი გაიგო. მაშინ მუნჯმა განაცხადა, დავრწმუნდი, რომ ტეიკმა ჩვენებური ენის არაფერი იცისო.

მსაჯულმა დამნაშავეს 6 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა და ამას შემდეგ შეეკითხა, კმაყოფილი ხარ ამ განაჩენით თუ არაო. მუნჯმა უპასუხა, რომ დიდის კმაყოფილებით გამოვაცხადებდი მაგ განაჩენის გამო უკმაყოფილებას, მაგრამ ეს საქმეს არაფერს უშველის და ამიტომ ისევ კმაყოფილი უნდა დავრჩეო.

## წერილი რედაქციის მიმართ

I

იანვრის 20-ს ოზურგეთის საზოგადოებამ გაუმართა სადილი ბრიგადის უფროსს თ. ბარიათინსკის და ამავე სადილზედ იქმნა შეკრებილი აქაურ ვაჭართაგან სასარგებლოდ განსვენებულის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ფონდისა და იოსებ დავითაშვილის ფონდისა ოც-და-ათი მანეთი. გთხოვთ ოცი მანეთი მიუმატოთ დიმიტრი ბაქრაძის ფონდს და ათი მანეთი ი. დავითაშვილისას.

დეპუტატი ოზურგეთისა
იაგორ შილაძე.

II

ნება მიბოძეთ საშუალებით თქვენის გაზეთისა გამოუცხადოთ გულითადი მადლობა ჩვენ და პატიმართ მაგიერ ბ-ნ სიმონ დიმიტრის ძეს ყაზახოვს, რომელმაც ამ დღეებში შემოსწირა წიგნთსაცავს 9 ეგზ. ცხოვრება ღირსისა წმიდისა მოწყალის ფილარეტისა, 9 ეგზ. ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა და 11 ეგზ. „მშური სიტყვა" მაჩხანელისა; ყველა ეს წიგნები შეტანილია წიგნთ-საცავის სიაში. მოიმედენი ვართ რომ ამ კეთილს საქმეს მიბაძავენ სხვანიც და შემოგვეწევიან შეძლებისა დაგვარად.

თელავის საპატიმროს წიგნთსაცავის გამგე, ბლაღოჩინი მღ. მიხაილ ხელაშვილი

12 თებერვალს, 1891 წ.
ქ. თელავი.

მის შვილის შვილის ასულის თამარამდე. ქართული მატიანენი არაფის უდრიან ამ დიდებულს დედოფალს, გარდა ვახტანგ გურგ-ასლანისა და დავით აღმაშენებლისა და უწოდებენ მეფით, და არა დედოფლად. შვიდის საუკუნის სიმაღლობაში ერი თავ-მოწონებით ეკვრის ხსოვნასა დიდებულის დედაკაცისას, რომელმაც ოდესმე მოუპოვა დიდება და ძლიერება,—და მის სახელს გარს ახვევს პოეზიით სავსე თქმულებათა გვირგვინს, მიაწერს რა თამარ დედოფალს ყველა დიდებულ საქმეს და სასიქადულო ძეგლს საქართველოსას. ნახევრად ზღაპრული სახე დიდის დედოფლისა საქართველოს სამეფოს თვითოეულ ალაგს მიითვისებს განსაკუთრებულს ელფერს, გამომხატველს ერის აზრისას, წარმოდგენისას უმაღლესისა და მიუწდომელის შესახებ. მაგ., სვანეთში, სადაც სახელი თამარისა დარჩენილია ერთად-ერთ ისტორიულ სახელად ხალხისათვის, მეომარი დედაკაციდან იგი გადაქცნილა საგნად სარწმუნოებრივის თაყვანისცემისა და მასთან იდეალად მომხიბლავის თვალთ-მტაცის მშვენიერებისად. მომაკვდავს, თავის სქესის გულისთქმათა დამორჩილებულს სათაყვანო დედოფალს სვანთა ლექსნი აგვირგვინებენ ოქროს იალქნით, ჰმოსავენ ნათელმფენის შესამოსლით და ამკობენ ძვირფასის ქვებით,— და ეს არის უმაღლესი ხატება, სადამდეც შესძლო მიღწევა ალალმართალმა საერო ფანტაზიამ. გარდმოცემანი აღგვიწერენ თამარს, როგორც დიდსულოვანს, და უხვს. ერთი თქმულებათაგანი გვიამბობს შემდეგს. ერთს დღესასწაულ დღეს, როდესაც დედოფალი ემზადებოდა გელათის ტაძარში წასასვლელად და ძვირფასს თვლებს ამაგრებდა სამეფო მოსახვევს, მოახსენეს—გლახაკი მოწყალებას გთხოვსო, გარეშე კართანა დგაო. დედოფალმა მოცდა უბრძანა და, როცა გამოვიდა, გლახაკი აღარ იყო იქ. შეშკრთალმა თამარმა თავის-თავს უსაყვედურა—გლახა რათ მოაკვლე მოწყალებასაო, მოიხსნა დანაშაულობის მიზეზი მოსახვევი და შემოახვია გვირაიანს ღვთის-მშობლის ხატს.

საბუთებული ისტორია, ზღაპრული გარდმოცემით ჩაქსოვილი—ასე გვიხატავს ბედსა და მოღვაწეობასა დედოფლის თამარისას (1184—1212). რუსის ისტორიკოსის (კარამზინის) მოწმობით თამარმა შეირთო ანდრია ბოგოლუბსკის ძე გიორგი, რომელმაც პირველში თავი ისახელა მტრებზედ ძლევა-მოსილებით. მაგრამ უცნობ მიზეზთა ძალით მათი ცოლქმრობა გაუქმებულ იქმნა და გიორგი წავიდა კონსტანტინეპოლს. საქართველოს ერისაგან იძულებულმა თამარმა მრავალ საქმროთაგან, რომელთ შორის იყვნენ შვილები ბიზანტიის იმპერატორისა და ისპანიის სულთანისა—აირჩია ოსთა მთავარი დავით სოსლანი (ე. ი. მშვენიერი), შთამამავლობით ბაგრატიონი. მაგრამ გიორგი ვერ ეთვისებოდა ტახტის დაკარგვასა და ბიზანტიელთა ჯარით მალე მოვიდა საქართველოში. ბევრი მომხრე ვერ შეიძინა სამეფოში და დამარცხებული და დატყვევებული მიართვეს დედოფალს. დიდ-სულოვანმა თამარმა მიანიჭა თავისუფლება იმ პირობით, რომ საქართველოზედ ხელი აელო სამუდამოდ.

ამავე დროს საქართველოს კარს მოსდგომოდა ბრძოლა სპარსებთან, სარკინოზებთანა და თურქებთან, რომელნიც ხელს არ იღებდნენ საქართველოზედ მაშინაც-კი, როცა იგი ძლიერი იყო. სოსლანი ჩავიდა სპარსეთში, გაიმარჯვა ბევრგან და განჯის აღების დროს ხელთ დარჩა აურებელი ფანჯიაქი და დავლა. მრავალი ტყვე, ცხენი, აქლემი, ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი იყო საჩუქარი მძლეველთა, ხოლო ზედ-მოყოლებით თამარმა გაუსია ჯარი ყარსიდგან თურქთა გასაძევებლად. დაინახა თუ არა ჯარი ქართველთა, მტერი გაიქცა და ციხე უომრად დასთმო. მაშინ სახელოვანმა ალეპპოს სულთანმა ნურრედინმა, ევროპიელთა ძლევა-მოსილობით განცვიფრებულმა, გამოუსია საქართველოს დასამხობად რვაას ათასი ჯარი, რომელშიაც მარტო ასი ათასი ცხენოსანი იყო. რაინდმა ნურრედინმა აცნობა თამარს—მოვდივარ, და ჰპირდებოდა შეწყალებას, თუ ჩემი ცოლი შეიქნებიო და შევიწყალებ იმასაც, ვინც მაჰმადს აღიარებსო. მაგრამ როდესაც ელჩმა გამოაცხადა ესრეთი ნება სულთანისა, სპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა ლაზათიანი სილა გააწნა მას და ელჩი ცოცხალ-მკვდარი დაეცა დედამიწაზედ. გამოთხოვა საომრად მიღებულ იქმნა და ომი გამოცხადდა. ქართველნი შეეყარნენ ურიცხვ-ჯარს თურქებისას ბასიანში (აზრუმის ჩრდილოეთით) და პირველადვე მიეტევნენ თავ-გამეტებით. დაიწყო სისხლ მჩქეფი ომი და თურქნი საშინლად დამარცხდნენ. ტყვეები იმდენი შეიპყრეს, რომ თითო ქართველზედ ოცი მოდიოდა. საუნჯეთი აივსო გამარჯვებულთა ბანაკი და მეფის სუფრაზედ ამის შემდეგ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელ გარდა აღარასა ჰხმარობდნენ; ძვირფასს თვალ-მარგალიტს კასრებითა სწყავდნენ.

აურებელი სიმდიდრე, ომებში თამარის მიერ შეძენილი, შეიქნა მიზეზად ბიზანტიისა და საქართველოს შორის ბრძოლისა. როდესაც თვალხარბმა და გაუმაძღარმა იმპერატორმა ალექსი ანგელმა გაიგო, დედოფალს თამარს მონასტერთათვის დიდი შეწირულობანი გაუგზავნია, ბრძანა გაცარცვა საქართველოდან კონსტანტინეპოლს მიმავალ ქართველ ბერებისა. გარისხებულმა თამარმა გამოუცხადა იმპერატორს ომი და დაიპყრო ტრაპეზონი და შავი ზღვის სამხრეთის მონაპირე სამფლობელონი, რომელთაგან შემდეგში თამარმა დაარსა ტრაპეზონის იმპერია, რომ კავკასიის და მცირე აზიის განაპირად შეეყენებინა გავრცელება მაჰმადის სარწმუნოებისა.

— 24 წლის მეფობის შემდეგ თამარი დაქვრივდა; მაგრამ თავისმა კერძო მწუხარებამ ვერ დააბრკოლა თამარი ეტარებინა საქართველო წარმატებისა და დიდების გზაზედ, და სამხედრო მოქმედება არ შეუწყვეტია სიკვდილამდე მისი საპოლიტიკო გამჭრიახობა და სამხედრო გამბედაობა ცხადად იხატება შემდეგის ეპიზოდითა. 1208 წ. არდაველის სულთანი დიდს შაბათს, როდესაც ყველა ქრისტიანენი ეკკლესიაში იყვნენ და წირვა-ლოცვას ისმენდნენ, მოუხდა ქალაქ ანს, და საშინელი სისხლის ღვრა მოახდინა. თორმეტი ათასი მცხოვრები ქრისტიანე ამოწყვიტა და ქალაქი მთლად აოხრა. თამარმა მოინდომა სამაგიეროს გადახდა ამავე სახით. დაუცადა თათრების მარხვას და თვით სავსე მთვარიანს ღამეს, როგორც მოლამ გადმოჰკივლა მინარადამ და თათრები დაალეიძა, თამარის ჯარი შეესია არდაველს[4]) და ერთის თვალის დახამხამებაზე დაიპყრეს. 12000 მცხოვრები, როგორც ანში, ამოსწყვიტეს, ქალაქი აიკლეს და შემუსრეს, თვით სულთანი-კი ცოლშვილიანად ტყვედ წამოიყვანეს. ამაზედ მოყოლებულს ირანში გალაშქრების დროს, ქართველთა მხედრობამ დაიპყრო თავრიზი, აიკლო ხორასანში გურგანი და იმოდენა ფანჯიაქი შეიძინა, რომ მოძრაობა გაუძნელდა და იძულებული იყო შინისაკენ დაბრუნებულიყო. გზად მომავალ ქართველთ ჯარისათვის სოფელ-ქალაქნი გამოაგებებდნენ საჩუქრებს და ქართველნი გამარჯვებულნი შემოვიდნენ ტფილისში.

დედოფლის გავლენა გავრცელდა. შორეულ ოსეთშიაც-კი, კავკასის მთის ქედის პირიქით. ჯიუტი მთის მკვიდრნი თავს იდრეკდნენ მის ძლიერების წინაშე და ინათლებოდნენ. ქართველს მხედარს მთაში ფეხ-და-ფეხ მისდევდა ქართველი მღვდელი და სომხის ვაჭარი—მტკვრისა, ალაზნისა, ლიახვისა და თერგის მიმდინარეობაში; თან მისდევდა და მამულთან ერთად წინ მიიწევდა შრომაზედ დამყარებული ცხოვრება და ქრისტიანული მოქალაქობა.

თამარის მეფობა მარტო სამხედრო ძლიერების დრო როდი იყო, იგი დრო აღიარებულია ლიტერატურისა და განათლების ოქროს საუკუნედ. მის დროს ცხოვრებდა შოთა რუსთაველი—საქართველოს ჰომერი, რომელმაც დაუტევა უკვდავი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი", დღემდე იგი უკეთესი თვალია ქართულ პოეზიისა.

ზღაპრული ისტორია მიაწერს თამარს ყველა შესანიშნავ შენობებს საქართველოსას და ეს გარემოება არც საბუთს არის მოკლებული, რადგან თამარმა მართლაც მრავალი ღირსსახსოვარი შენობა დასტოვა. თამარმა ყველგან დაუტევა თავის მოღვაწეობისა და მხნეობის ამოუშლელი კვალი და, როგორც ერთი მეისტორიე მოგვითხრობს—„თავისი სახელი ქვითკირებით დასწერა მთებში და სა-

[4]) არდაველი მდებარეობს თავრიზის აღმოსავლეთით და მტკვრის შესართავის სამხრეთად.

# დეპეშა

15 თებერვალი

პეტერბურგი. „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ საქალაქო დებულების პროექტი განხილულ იქნება სახელმწიფო საბჭოში თებერვლის გასულს.

პარიჟი. აქაური მხატვრები უარს აცხადებენ, მონაწილეობას არ მიიღებთ ბერლინის გამოფენაშიო.

ბერლინი. საფრანგეთის მხატვრების უარმა, არ მიიღებთ მონაწილეობას ბერლინის გამოფენაშიო, მეტად გული დასწყვიტა აქაურ საზოგადოებას. უარმა ისე ძლიერად იმოქმედა, რომ დაეცყო დასავლეთის ბირჟებსაც.

რომი. პალატას შეეკითხნენ, რასა ფიქრობს მთავრობა რუსეთის ტახტის მემკვიდრის მოგზაურობაზედ აბაშეთშიო.

ლონდონი, გუშინ, პორტსმუტში, ინგლისის დედოფლის თანდასწრებით, ზღვაში ჩაუშვეს ორი ჯავშნიანი ხომალდი „Royal“-ი და „Souvereign“-ი. ინგლისელების აზრით ქვეყანაზე არ მოიპოვება ბადალი ამ სამხედრო ხომალდისა.

ჩილიდან იწერებიან, რომ მეამბოხეებმა აიღეს ქალაქი იკვიკე და ცარიელ გლეჯას მიჰყვეს ხელიო. ბოქაულებმა შეუტიეს ავაზაკებს, დაიწყო ცხარე ომი, რომელშიაც მოკლულ იქმნა 173 მეამბოხე. დარწმუნებით-კი არ იციან, ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი, რომ აღარ მიიღონ შეერთებულ შტატებში დასასახლებლად ისინი, ვისაც შრომის თავი არა აქვს, ან სამართალს ქვეშ ყოფილა.

პარიჟი. გერმანიის ქვრივი დედოფალი თავის ქალით წავიდა დღეს დილით ბულონში. რკინის გზის სადგურზე არავითარი უწესოება არ მომხდარა. ბევრი მაყურებელ საზოგადოებიდგან პატივისცემით თავს უკრავდა დედოფალს.

ბერლინი. სასტიკად ებრძანა ელზას-ლოტრენის გამგებელს, უსათუოდ მოიყვანე აღსრულებაში მთავრობის განკარგულება საპასპორტო წესებისა იმ ფრანგების შესახებ, რომელნიც მოდიან ელზას-ლოტრენშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 15 თებერვალი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგდნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 84 | 6 87 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137 | $137^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 228 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | $215^1/_2$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | $102^1/_4$ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | $102^1/_4$ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | 97 12 | — „ | — „ |

ქართველთა მინდვრებში.“ ეკკლესიები და ჯვრები მიუდგომელ კლდეებზე, შეუვალ-ხეობებში შავის და კასპიის ზღვების ნაპირად და მთის პირიქითაც-კი—არიან უტყუარი მოწამენი მისის ნათელ-მოსილის მეფობისა. ქართლის ხეობაში აქამომდე მოჩანან ერთის თამარისაგან აღშენებულ ტაძრებთაგანის ნანგრევნი, მეტად ღირს სახსოვარნი იმითი, რომ იქ დაცული იყო ოდესმე სასწაულ მოქმედი ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ძღვენი ნიჭი თამარისა ოსთა ერისადმი, ქმრით მონათესავისადმი. ეს ტაძარი ორჯერ შეიმუსრა ცეცხლისაგან და ორჯერვე ნანგრევთ შორის იგი ხატი უვნებლად იპოვა. ქართლის ხეობაში ხატმა დაჰყო ექვსასი წელიწადი. მაგრამ როდესაც თათრობა შემოესია კავკასიის მთებს, ხოლო რუსთა მთავრობამ მთიულნი ქრისტიანენი მოიწვია თერგის გაღმა მოზდოკისაკენ ხატიანათ,—წმიდა ხატი შეიქმნა რუსთა სიწმინდედ. დაცულია მოთხრობა, რომ 1793 წ. მთიულთა ერობა ხატით ჩამოვიდა მოზდოკში და მაშინდელმა ეპისკოპოსმა მოზდოკისამ მიიღო იგინი ჯვრებით და ბაირაყებით (хоругви) და შეახვედა საკრებულო ტაძარში და ღვთისმშობელმა სასწაულებრივ აცნობა, რათა ხატი დასვენებულ იქმნეს გარეშე ქალაქისა იქ, სადაც უბრალო ჩერქეზის ურემზედ მან გაათია ღამე. იმ ალაგას ააშენეს სამლოცველო, ხოლო შემდეგ ხის ეკკლესია ღვთისმშობლის მიძინების სახელზედ. ეხლაც რუსეთიდან და კავკავიდან მლოცავნი იკრიბებიან თაყვანის საცემლად ხატისა.

ყველაზედ პოეტური სახსოვარი თამარისა არის—ვარძია, „ვარდის ციხე“. ზემო ქართლს თამარი ჰსთხლიდა უკვეთეს მარგალიტად თავის გვირგვინისა და სკიპტრისად, და იქვე, ახალციხის მახლობლად, დაკიდებულ კლდის ფრიალოზედ მან გამოაკვეთინა დიდ მშვენიერი სრა-სასახლე, რომელშიაც 360-მდე ოთახი იყო. მოგზაური დღესაცა ჰხედავს ამ დიდებულის მეფის სასახლის დანაშთენს, რომელშიაც საშუალო ოთახებისა და ტალან-აივნებისა მიწის სიღრმეში დაცულია დიდი ტაძარი, შემკული მხატვრობით. მათ შორის მთელის ტანით დახატულის ნახევრად ზღაპრული, დედოფლის სახე მეტად ცხოველია და დიდადაც ჰმოქმედობს მნახველზე. აქვე ტაძრის სამწირველო სამხრეში მოჩანს ქვისაგან გამოკვეთილი ამფონი, რომლის ქვეშ ალბად დაიმარხა თამარი, გარდაცვლილი აქ თავის საყვარელ „ვარდთციხეში“ 1212 წ., მაგრამ ნამდვილად მის საფლავის სადაობა დღემდე უცნობელია. ზოგნი ამბობენ, რომ იგი დამარხულია გელათის მონასტერშიო; სხვანი მის საფლავს აღნიშნავენ სვანეთში. ქართველთ მოდგმის ნათესაობა ეგრე აღვილად ვერ გამოეხსალმა თავის მიცვლილ დედოფალს და თვითოეული ნათესავი იჩემებდა აღგილს მის საუკუნო განსვენებისას. საქართველოს ეკკლესია დღესასწაულობს თამარის ხსენებას მენელსაცხებლეთა კვირიაკეს დღეს.

უნებულად მიიპყრობს ყურადღებას ის გარემოება, რომ საქართველოში, ნახევრად აღმოსავლეთის მზგავს ქვეყანაში, სადაც დედაკაცს მიჩემებული აქვს ეგრე მცირე პატივი, უმაღლესი იდეალი კაცისა და ადამიანისა განხორციელდა დედაკაცის სახითა. წმიდა ნინა—იდეალია უმაღლესის ზნეობისა, დედოფალი თამარი—იდეალია გმირისა და ბრძენის მმართველისა. ნინა და თამარი საყვარელი სახელ-წოდებაა ქალისა ქართველობაში.

პ. ცხვედლიძე

(შემდეგი იქნება)

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო ამბავი ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . | „ | 25 |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძველის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა
სარატოვში.
1891 წლის სეზონი.
გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი,
ესრედ წოდებული

**ს ა რ პ ი ნ კ ა,**

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით.

სარპინკას ნიმუშებს დაუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.

ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.

10—10

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

წესდება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—2)

კერძო ექიმი

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ.

(10—10)

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.